ახალი

საქართველოს კომუნისტური პარტია (ბალშევიკებისა)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

შაბათი, 16 ოკტომბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 200 მან.

ფასი 10 მან.

№ 69 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 69

## რუსეთი ისვენებს.

საბჭოთა რუსეთსა და პოლონეთს შუა დროებითი ზავი ჩამოვარდა, რასაც სამი კვირის განმავლობაში უნდა მოჰყვეს საბოლოო ზავი. ზავის პირობები ნაკლებ წააგავან იმ პირობებს, რომელიც გამოიმუშავა პროლეტარული რესპუბლიკის მთავრობამ და ქ. მინსკში წარუდგინა ბურჟუაზიული პოლონეთის დელეგატებს. მაგრამ მთავარი საკითხი—ომის შეწყვეტა და ზამთრის კამპანიის თავიდან აცილება მიღწეულია. ეს კი უდიდესი სიკეთეა დღეს დღეობით მუშურ-გლეხურ რუსეთისათვის. პოლონეთი იმპერიალისტური ევროპის დამქაშის და ფალავანის როლში გამოვიდა და ავაზაკური იერიში მიიტანა საბჭოთა რუსეთზე. არ გასჭრა მრავალ გვარმა დათმობამ, არ გასჭრა მრავალ გვარმა ტერიტორიალურმა მსხვერპლმა, რაზედაც რუსეთი დათანხმდა გასულ აპრილში, როცა ის მზათ იყო თვით ქ. სმოლენსკი გამოეცხადებია „ისტორიულ“ პოლონეთის საზღვრებში. საბჭოთა რუსეთი იძულებული გახდა იარაღით მომხდურს იარაღითვე შეხვედროდა, უკუექცია, და თვით ვარშავამდე გაერეკა. საფრანგეთ-ინგლისის მიერ ზურგ გამაგრებულ პოლონეთმა თავის მხრით შესძლო უკუქცევა წითელი ჯარის, რომელმაც საზღაპრო სიჩქარით, გასროლილი ისარივით გაექანა მდინარე ბერეზინიდან და პოლონეთის ბურჟუაზიის ბუნაგის, ვარშავას კედლებთან გამოჩნდა.

დღეს უკან დახეული წითელი ჯარი შეტევას აწარმოებს წარმატებულად, მაგრამ ზავი აუცილებელი შეიქმნა ორივე მხარესათვის და კიდეც ჩამოვარდა, მიუხედავად საფრანგეთის გამგელებულ, შევახშე ბურჟუაზიის წინააღმდეგობისა.

ბურჟუაზიულ პოლონეთის საზღვრები რამდენიმეთ ფართოვდება—მით უარესი მისთვის, მისი ახლო მომავლისათვის: რაც მეტი „ქვეშევრდომი“ იქნება პოლონელ პანების ქუსლებ ქვეშ, მით უფრო ადრე და უფრო საშინლად იფეთქებს ამ ქვეშევრდომთა აუცილებელი აჯანყება, როცა მშვიდობიანობის ახლო თვეები კიდევ უფრო გაამწვავებენ და გამოააშკარავებენ იმ უსაზღვრო და უძირო ტანჯვა-წვალებას, რის მომასწავებელია ბურჟუა-პანების დიქტატურა. პროლეტარიატის დიქტატურას მეტი მომხრე და მებრძოლი გაუჩნდა „გამარჯვებულ“ პოლონეთში, ვინემ ჰყავდა წინეთ.

ბურჟუაზიული პოლონეთი მიიღებს—თუ კი მოასწრებს მიღებას თავის აფეთქებამდე—რამოდენიმე ოქროსაც იმ მასალების და საგნების საფასურათ, რაიც გაუზიდიათ რუსეთში იმპერიალისტური ომის დაწყების დღიდან. რუსეთის პროლეტარიატის მარჯვენა, რომელიც ასეთი გმირობით იბრძვის სისხლიან და უსისხლო ფრონტებზე, ღირებულებათა წარმოების გაცხოველების შესაძლებლობას ყიდულობს ამ ყვითელი ლითონით, რომელზედაც ასე დახარბებულია პოლონეთის ბურჟუაზია, და რომელიც პლომათ მოეპოება რუსეთს.

სამაგიეროთ, პოლონეთი უნდა ჩამოსცილდეს მუშურ-გლეხურ რუსეთის მოსისხლე მტრებს. ვრანგელი, პეტლიურა, სავინკოვი და მზგავსი კონტრ-რევოლიუციონერები დღეს ჰაერში გამოკიდული რჩებიან. ვრანგელი გაისრისება ახლობელ კვირეებში, რაც მომასწავებელია ევროპის იმპერიალიზმის უკანასკნელი იმედის დამსხვრევის. განაწამები სოცალისტური რუსეთი ცოტა ხნით თავისუფლად ამოისუნთქებს და მთელ თავის ყურადღებას, ძალას, ნებას და შემოქმედებას მიმართავს შრომის ფრონტისკენ; ამ ფრონტზე გამარჯვება მისი გამარჯვება იქნება მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის.

## „თეორეტიკოსი“ არ ისვენებს

რას ნიშნავს, ამხ. მკითხველო, ბრძოლა რაიმე მოვლენის წინააღმდეგ? რასაკვირველია იმას, რომ მოსპო ან შეუძლებელი გახადო ის მოვლენა, რის წინააღმდეგ იბრძვი. როცა სოფლის მეურნე მოახლოვებულ სეტყვას ებრძვის ერთგვარი ზარბაზნების გასროლით, მას სწადია სეტყვა შეუძლებელი გახადოს და თავის ვენახს განადგურება ააცილოს. როცა სოციალისტური პროლეტარიატი ებრძვის ბუჟუაზიულ საზოგადოებას, მას რაღა თქმა უნდა, სწადია მოსპობა ბურჟუაზიული წესწყობილების, მისი კერძო საკუთრების, სწადია გაუქმება კლასების, გათანასწორება ყველასი შრომაში და შრომის ნაყოფით სარგებლობაში. ამ საანბანო ჭეშმარიტების გახსენება დაგვჭირდა მარქსიზმის გამყალბებელ ბ. დევდარიანის მორიგი გამოსვლის გამო, „ერთობის“ მე-217 ნომერში ეს „მარქსისტი“ სწერდა: „მარქსისტებს ისტორიულ აუცილებლობათ მიაჩნდათ პროლეტარიზაცია და კონცენტრაცია, მაგრამ ისინი ებრძოდენ ამ აუცილებელ მოვლენებს“ .ო. თუ კი რაიმე აზრია ამ სიტყვებში, მხოლოდ ის, რომ მარქსისტები რითაც კი შეეძლოთ აფერხებდენ ამ პროცესებს ყოველ შემთხვევაში, რაკი არ შეეძლოთ მათი აუცილებლობის თავიდან მოცილება. ასეთი წარმოდგენა ერთი უშველებელი სიყალბეა. პროლეტარიზაცია და კონცენტრაცია ის ორი დედაბოძია, რომელზედაც დაყრდნობილია მთელი მოძღვრება მარქსიზმის, მეცნიერული სოციალიზმ-კომუნიზმი. მას ეს პროცესები მიაჩნდა თანამედროვე პროგრესის მთავარ მამოძრავებელ ძალებათ. ბ. დევდარიანის მორიგი ცრუ დეკრეტით კი მარქსიზმი ებრძოდა და ახლაც ებრძვის ამ პროცესებს. ჩვენ აღვნიშნეთ ეს, თან სასირცხოდაც კი ჩავთვალეთ ასეთი ანა-ბანას არ ცოდნა, მივიწყება თუ განზრახ გაყალბება. თუმცა ბოლოს და ბოლოს გასაკვირალი არაფერია ბ. დევდარიანის ცდაში. პროლეტარიზაციას და კონცენტრაციას ბრძოლას უცხადებენ ყველა წვრილ-ბურჟუაზიული რეაქციონერები და უტოპისტებიც კი, გერმანიის ანტისემიტები და რუსეთის ესერები. ბ. დევდარიანის პარტიაც ხომ კაი ხანია ამ კამპანიაშია მოქცეული თავისი პრაქტიკული საქმიანობით და აღმშენებლობით, პოლიტიკით და „სოციალიზმით“. „ერთობის“ მე-232 ნომერში ბ. დევდარიანი უკვე ცდილობს ერთგვარი შესწორება შეიტანოს თავის საარაკო „თეზისში“ და პირაქეთ გვიკიჟინებს ძველი ანბანის დავიწყებას, გვაგონებს დამარცხებულ ნაროდნიკების (კრივენკოს ჯიშის) ბრძნულ რჩევას: ფაბრიკები და კაბაკები გაამრავლეთ მარქსისტებმა და ამით დააჩქარეთ როგორც კონცენტრაცია პროლეტარიზაცია ისე სოციალიზმის განხორციელებაო. ამის გახსენება უადგილო იყო, ყოველ შემთხვევაში ბ. დ—იანი ხელს ვერ მოითბობს, თავს ვერ გაიმართლებს ამ მოგონებით, ვინაიდან რუსეთის მაშინდელი მარქსისტები და საერთოდ მთელი საერთაშორისო სოციალიზმი წვრილ-ბურჟუაზიულ სოციალისტების ასეთ „გალიზიანება“—ბრალდებაზე აი რას უპასუხებდენ: კონცენტრაცია—პროლეტარიზაცია, ე. ი კაპიტალიზმი ჩვენს ხანაში პროგრესის მატარებელია, ის გაბატონებულია დაწინაურებულ ქვეყნებში და ჩამორჩენილი ქვეყნების წელში გამართვა, მოღონიერება და არსებობისათვის და საბოლოოთ განთავისუფლებისათვის წარმატებული ბრძოლა დღეს შესაძლებელია მხოლოდ განვითარებულ კაპიტალიზმის ნიადაგზე; სანამ კაპიტალიზმი მეფობს ხელმძღვანელ ქვეყნებში და იჭრება დედამიწის ყოველ კუნჭულში, განვითარება შესაძლებელია მხოლოდ კაპიტალისტურ წარმოების ნიადაგზე. მაგრამ კაპიტალიზმს მოაქვს თან პროგრესის გარდა უარყოფითი თვისებებიც, ტენდენცია მშრომელ მასსების უზომო ექსპლოატაციისაკენ პროლეტარიატის საცხოვრებელ პირობების უკიდურესათ გაუარესებისაკენ, მის გადაგვარებისაკენ და აი, პროლეტარული ბრძოლა უნდა მიიმართოს არა კონცენტრაცია—პროლეტარიზაციის წინააღმდეგ, არამედ მის უარყოფითი ტენდენციების წინააღმდეგ, რომლების შეკავებას და მოსპობას ემსახურება სოციალიზმის პროგრამა-მინიმუმი, რომლის დანიშნულება, სანამ კაპიტალიზმის სრული მოსპობა შესაძლებელი გახდებოდეს, მუშათა კლასი დაიცვას, შემატოს მას ძალა კაპიტალიზმის ნიადაგზედვე საბოლოოთ მიზნის მისაღწევათ რევოლიუციონური გზით.

აი მარქსიზმის პასუხი წვრილ ბურჟუაზიულ ლათაიებზე კონცენტრაცია-პროლეტარიზაციის შესახებ, რაც გაიმეორა ბ. დევ—ანმა თავის პირველ წერილში, და რაც მიაგავს იმას, რომ ექიმმა-აკუშორმა, მშობიარების ტკივილების შემსუბუქების მაგიერ, რომ განაცხადოს: მე ვებრძვი თვით მშობიარე ქალს და მშობიარების აქტსო.

კვლავ ვიმეორებ: სასირცხვოა ყველა ამაების დავიწყება თუნდა ყოფილი მარქსისტისაგან, მარა რას იზამს ქართველი სოც.-დემოკრატიის თეორეტიკოსი? „როგორც უჭირს, ისე უღირს.“

მეორე დეკრეტში ბ. დევ—ანი მეათასეჯერ იმეორებს კბილის მომკვეთ, უკვე მობეზრებულ ზღაპარს — ბალშევიკები სოციალისტურ ბუდეს ეძებენ იქ, სადაც კაპიტალიზმს ფეხი არ შეუდგამს, ეძებენ ჩამორჩენილ ქვეყნებშიო. და შემდეგ ჩვენი ჭეშმარიტმოყვარე „მკვლევარი“ განაგრძობს: „თითონ ლენინს ეთქვა „კომუნ. ინტერნაც.“ სხდომაზე,—აღმოსავლეთში უფრო გლეხები არიან და ამ გლეხებს უნდა დაუკავშირდეს ევროპის მუშებიო. მე არ მეგულება არც მკვდრებში, არც ცოცხლებში ამისთანა მოაზრე მარქსისტი. მუშის და გლეხის შეერთება სოციალისტურ რევოლიუციაში,—არსად ერთ მარქსისტს არ მოსვლია აზრათ“.

ასე რქვა ჩვენმა თეორეტიკოსმა და ბეტი ლასხა „ერთობის“ მრავალმოწამე მკითხველს. არც მკვდრებში, არც ცოცხლებში არ მეგულებაო!—ნუ თუ ბ. დევ-ანო ხელახლა აგვაჭრელებიებთ გაზეთის ფურცელს მრავალი ამონაწერებით როგორც მკვდარ, ისე ცოცხალ მარქსისტების თხზულებებიდან თქვენ მიერ დაყენებულ ბურუსის გასაფანტავად? თუ საჭიროა მაინც და მაინც, შემდეგისთვის იყოს ჩვენზე ეს ვალი. ახლა კი მოგახსენებთ: ვეება ტყუილი ამოვიდა თქვენი პირიდან. თქვენს პარტიულ პროგრამაში, რომელიც თუმცა ქაღალდის ნაგლეჯათ აქციეთ, მარა ოფიციალურად ჯერ არ უარგიყვიათ, ვკითხულობთ: „მუშათა კლასის პარტია, სოც. დემოკრატია, მოუწოდებს თავის დროშის ქვეშ ხალხის მშრომელ და დაბეჩავებულ ნაწილთ, რამდენათაც კი ესენი პროლეტარიატის შეხედულებაზე გადმოდიან“. ვინ არის ეს „ხალხის მშრომელი და დაბეჩავებული ნაწილი?“ ნუ თუ იქ „სოფლის მუშას“, რომლისთვისაც თქვენ ახლა ცალკე გაზეთსაც კი სცემთ ადგილი არა აქვს? მცირე მიწის პატრონი ან სულ უმიწაწყლო გლეხი და მოჯამაგირე ვინ არიან თუ არ ნახევარ პროლეტარები და სოფლის პროლეტარები. გაისარჯეთ თითონ ბ-ნო თეორეტიკოსო და გაეცანით აი თუნდა ფ. ენგელსის საპროგრამო ბროშურას „Крестянский вопрос во франции и Германий“, გაიხსენეთ აგრეთვე საფრანგეთის სოციალისტური პარტიის აგიტაცია გლეხობაში, ასეთივე აგიტაცია გერმანიაში, ვენგრიაში, იტალიაში, ამერიკაში. გაიხსენეთ ნ. ჟორდანიას (მარქსისტი ჟორდანიასი და არა ახლანდელის, რომელიც გლეხობას მთლად ვანდეელებათ სთვლის და მათ წინააღმდეგ სასტიკი რეპრესიების მომხრეობას მარქსისტულად ასაბუთებს) ნაწერები იმის ასახსნელად, თუ რატომ ამოუდგა გვერდით ბრძოლაში ქართველი ღატაკი გლეხი ქალაქის მუშას, გაიხსენეთ მისივე მოხსენება 1903 წ. პარტიის მეორე ყრილობაზე, როცა ის ამტკიცებდა, რომ ჩვენში მზათაა სოფლად ნიადაგი სოციალიზაციის საპროპაგანდოთ და საბრძოლველად.

მაგრამ ვთქვათ მკვდრებიც და ცოცხლებიც თქვენ გწყალობენ. მაინც რა შუაში იყო ლენინის ჩარევა თქვენს აბდა-უბდის ქსელში. ლენინი და მასთან ერთად ყველა კომუნისტები რუსეთის და დასავლეთის აღიარებენ, რომ აზიაში ერთად ერთი მწარმოებელი ღირებულების შემქნელი კლასი გლეხობაა (ცოტაოდენი ხელოსნების დამატებით) ეს კლასი დაჩაგრულია შინაური მუქთახორების და გარეშე იმპერიალიზმის მიერ. ორივე ეს მუქთახორა მტერია დასავლეთის პროლეტარიატისაც. ნუ თუ უდიდესი სკანდალი ბრ არის თუნდა წვრილ ბურჟუაზიულ დემოკრატისთვისაც კი, როცა ის დასავლეთ-აღმოსავლეთის მშრომელთა კავშირის გაგონებაზე პირჯვარს იწერს გაოცებული, მკვდრებს და ცოცხლებს ფიცულობს და კითხვითი ნიშნად იქცევა. როცა შტუტგარდის სოციალისტურ კონგრესზე ერთი ინდოელი ქალი ჩამოვიდა დელეგატათ აჭრელებულ ტანისამოსში გამოწყობილი, მთელი კონგრესი გულწრფელად აღტაცებაში მოვიდა. ვანდერველდემ მაშინ განაცხადა, რომ სოციალიზმის სამეფოში, როგორც კარლოს დიდის სამეფოში, მზე არ ჩადის—მთელი დედამიწის მშრომელნი ჩვენს დროშის ქვეშ იყრიან თავსო. ახლა კი, როცა ორი ათასმა აღმოსავლეთის მშრომელ ხალხების დელეგატმა თავი მოიყარა ბაქოს ყრილობაზე და საღვთო ომი გამოუცხადა იმპერიალიზმს—კბილი კრეჭია დემოკრატები ცუღლუტობით ერთობიან: აი სად ეძებენ ბალშევიკები სოციალიზმსო! არა ვაჟბატონებო—არა თუ ლენინს, არც ზინოვიევს, არც რადეკს და ბელაკუნას, რომლებიც მომხსენებლად გამოვიდენ ამ ყრილობაზე სოციალიზმი არ უხსენებიათ: მათ ნათელი მიზანი დაუყენეს აღმოსავლეთის მშრომელი ხალხის მოძრაობას სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა სისხლის მსმელ იმპერიალიზმს და საბჭოთა მმართველობა შინაური მტარვალების დესპოტიზმის მაგიერ. ესაა მარქს-ენგელსის და მთელი რევოლიუციონური სოციალიზმის პროგრამა აღმოსავლეთში. ასეთ კავშირს აღმოსავლეთ-დასავლეთის მშრომელებისას დასავლეთის კაპიტალიზმის წინააღმდეგ ქადაგობდა კ. კაუცკი ჯერ კიდევ 1909 წ. (იხ. ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომრის ფურდული).

მაგრამ ბ. დევ—ანმა საბჭოთა მმართველობა სოციალიზმისაგან ეგებ ვერ გაარჩიოს და განმარტება დასჭირდეს. საბჭოთა სისტემა აღმოსავლეთში, მოწყალეო ხელმწიფე, გამომხატველი იქნება მშრომელი ხალხის ბატონობის, მისი თვითმმართველობის. რასაკვირველია, სოციალიზმის ელემენტები მაშინ იჩენენ იქ თავს, თუ ახლობელ ევროპიულ ქვეყნებშიც გაიმარჯვა სოციალიზმა, მარა სოციალიზმს იქ ექნება ადგილობრივი ელფერი, მზგავსად პირველ-ყოფილი კომუნიზმისა, რომელიც, გარწმუნებთ ბ. დევ—ნო, ბალშევიკების მოგონილი არ არის, არამედ მარქს-ენგელსის მიერაა გამოკვლეული და ხოტბა-შესხმული (იხ. ენგელსის „Происходж.семьи, частн соб ств. и госуд—ва). ნურც ის ჩაგაგდებთ საგონებელში ბ-ნო თეორეტიკოსო: რომ აღმოსავლეთში ცოტაა ფაბრიკა-ქარხნები, რომ იქ სოფლის მეურნეობაა გამეფებული: სოციალიზმი იქ ჰპოვებს თავისებურ გამოსახულებას მიწათმფლობელობაშიც და მიწათ მოქმედებაში, სანამ დასავლეთის ტეხნიკა გაანაყოფიერებდეს აღმოსავლეთის მდიდარ ნიადაგს და ხალხების შრომას. მარქსი რუსეთის „ობჩინის“ შესახებ სწერდა, რომ ის შეიქნება სოციალისტური მიწათ-მოქმედების გამოსავალ წერტილათ, როცა სოციალისტური რევოლიუცია მოხდება ევროპაშიო.

აკმარეთ თქვენს მკითხველებს ამდენი ჯამბაზობა, ამდენი ფალისფიკაცია ბ ნო დევდარიანო!

ნ. გ.

## რევოლიუციის ძლიერნი...

(„უძლვნი“ ს. თურქიას, ვ. კაჭარავას და ძმათა მათ).

„Рожденные ползать,
Летать не могут“.
მ. გორკი.

დიდი საქმე—დიდ მსხვერპლს მოითხოვს; დიდი მსხვერპლის გაღება კი მხოლოდ დიდ ადამიანს შეუძლია.

რევოლიუცია—ძველის ნგრევა, ახალის შენება—დიდი საქმეა; ამიტომაც იგი დიდ მსხვერპლს მოითხოვს; ასეთი რამ მხოლოდ რევოლიუციონერებს შეუძლიათ, რადგან ისინი დიდი ადამიანები არიან.

დიდი რევოლიუციონერობა მხოლოდ იმით კი არ განისაზღვრება, თუ რამდენათ გამოჩენილი იყო ესა თუ ის რევოლიუციის მოსამსახურე, თუ რამდენათ ცნობილი იყო იგი. თუ რამდენი წლეებით ან საუკუნოებით შერჩა ისტორიას მისი გვარი და სახელი... დიდი რევოლიუციონერები იყვნენ სპარტაკი კ. მარქსი, მარატი, კ. ლიბკნეხტი; დიდი რევოლიუციონერებია ლენინი, ტროცკი, ცეტკინი... მაგრამ დიდი რევოლიუციონერები იყვნენ აგრეთვე ის უსახელო მონები, რომლებიც, სპარტაკის გვერდით გმირულად იღუპებოდენ პომპეის და კრასის ლეგიონერებთან ბრძოლებში, არა ნაკლები გმირები იყვნენ საფრანგეთის ის მუშები, რომლებიც დელეკლიუზთან და ვარლენთან ერთად სისხლს ღვრიდენ 1871 წ. პარიზის კომუნის დასაცავად ტიერის ჯალათების თავდასხმისგან; თუმცა მათ არავინ იცნობს, მათი სახელი და გვარი გაქრა მათთან ერთად...

განა გმირები და რევოლიუციის გოლიათები არ იყვნენ ის 15,000 გერმანელი მუშები, ლიბკნეხტის და როზა ლიუქსემბურგის გვერდით სახელოვნად და ვაჟკაცურად რომ ხვდებოდენ შეიდემან-ნოსკე-კაუცკის თეთრგვარდიელების მიერ გამოსროლილ ტყვიებს?! რე-

ვოლიუციის გენიებია ლენინი და ტროცკი, მაგრამ განა დიდი რევოლიუციონერი არ არის აგრეთვე ის პიტერის უბრალო მუშა, რომელიც გასაგიჟებელი სიმტკიცით და ჯიუტობით, ხშირათ მშიერი, ფეხშიშველი, მოკლებული ელემენტარულ დახმარებებს, იბრძვის საბჭოთა რუსეთის დასაცავად, გაშმაგებულ მტრებთან ათას სხვა და სხვა ფრონტებზე: ებრძვის ვინტოვკით ხელში კოლჩაკს, დენიკინს, იუდენიჩს, პან პილსუდსკის და ბარონ ვრანგელს; ებრძვის ჩაქუჩით ხელში სამუშაო დაზგასთან წარმოების დაცემას, ეკონომიურ სილატაკეს...

მათ შორის 99 პროცენტი სახელი და გვარი ისტორიის ხსოვნაში არ დარჩება. შეუმჩნევლათ წავლენ ისინი ამ ქვეყნიდან, როგორც შეუმჩნევლად აკეთებდენ რევოლიუციის საქმეს. ეს უკანასკნელი კი სამარადისო ხელ-უხლებელი ძეგლი იქნება მათი დიდი რევოლიუციონერობის.

მართალია, ბუნებას და, ხშირათ ცხოვრების პირობებსაც, ესა თუ ის რევოლიუციონერი უფრო მეტი ტალანტით დაუჯილდოებია, რომლის წყალობითაც მას შეუძლია უკვდავი გახადოს თავისი გვარი და სახელი.

მართალია ლენინი და ტროცკი გაცილებით უფრო მეტი და უფრო განვითარებული რევოლიუციონური ტალანტებით არიან დაჯილდოებულნი, ვიდრე ის მუშები, რომლებიც ათასობით და ათი ათასობით იღუპებიან წითელი რუსეთის მრავალრიცხოვან ფრონტებზე... მაგრამ, როგორც პირველნი ისე მეორენიც დიდი რევოლიუციონერები არიან, რადგან ის, ვინც რევოლიუციას აძლევს ყველაფერს, რაც მას აქვს—სიცოცხლესაც—დიდი რევოლიუციონერია... ლენინი მსხვერპლად სწირავს მომავლის საქმეს ყოველივე თავისას... ასევე ირჯება რევოლიუციის უსახელო მუშაც...

გაღებული მსხვერპლი და მისი გულწრფელობა—აი რა ხდის ადამიანს დიდ რევოლიუციონერად... აი ესენი არიან რევოლიუციის შევარდნები, გამბედავნი, დიდსულოვანნი, თავდადებულნი, რომელთათვის პირადი ბედნიერება არ არსებობს, ან და უკეთ, რომ ვსთქვათ, რომლებიც თავისი პირად ბედნიერებას საერთო საქმისათვის ბრძოლაში ნახულობენ...

მაგრამ რევოლიუციას თავისი ძლოკვებიც ყავს. გაუბედავნი ლაჩრები, მოკლებული ზეციურ ალმაფრენას—ისინი აშკარა ბრძოლისათვის არ ვარგან... მოწინააღმდეგეთა ბანაკშიაც... მათ არა აქვთ საკმაო ზხამი, რომ მტერს აშკარათ უკბინონ და მოწამლონ... ქვე-მძრომნი, ბნელ ხვრელებს მიჩვეულნი—ისინი ყოველთვის გამყიდველების და მოღალატეების როლს თამაშობენ...

ხანდახან გულწრფელადაც გადადიან რევოლიუციის ბანაკში... საქმეში ებმებიან... ბევრს ლაპარაკობენ... ბაქიობენ... სხვებს ატყუილებენ, და ხშირათ თავის თავსაც... მაგრამ პირველი ბრძოლა, პირველი მსხვერპლის გაღება და... ის უკვე ბნელი აშმორებული ხვრელისკენ გარბის... ძველი სოროსკენ მიეშურება... დღევანდელ ამხანაგებს ზურგს აქცევს და გუშინდელ თავის ბატონ-პატრონებს ელაქუცება, ხელ-ფეხს ულოკავს... ამხანაგებს, რომელსაც მეგობრობას ეფიცებოდა, ახლა ღალატობს, ყიდის—უსირცხვილოდ, წარბ-შეუხრელად. მან არ იცის რა არის თავის დამცირება... „ხაზეინის“ დაცინვას იგი იდიოტური ღრეჭით ხვდება... ოღონდ კი მან, რამეფრად იგი რევოლიუციის ბანაკიდან საჩქაროდ გააქციოს და საჭირო მსხვერპლის გაღება თავიდან აიცილოს.

რაც უფრო მწვავე და მძაფრი ხდება რევოლიუციის ბრძოლა კონტრევოლიუციასთან, რაც უფრო დიდდება რევოლიუციის მიერ მსხვერპლის მოთხოვნა თავისი დამცველებისაგან,—მით უფრო მოურიდებლათ გარბიან ისინი რევოლიუციის ბანაკიდან.

ასეთია რევოლიუციის კანონი.

შევარდნებთან ძლოკვებს დიდხან ერთად ყოფნა და, მით უმეტეს, ერთად ბრძოლა არ შეუძლიათ... განა, რა საერთოა მფრინავ შევარდენის და მხოხავ ძლოკვს შორის?!

რა იცის ძლოკვმა, თუ რა ბედნიერებაა ჰაერში ნავარდი, მზის სხივებში ბანაობა ქარიშხალთან ბრძოლა და, თუ საჭირო იქნება, ამ ბრძოლაშიც სიკვდილი?! ხოხვისთვის დაბადებულთ ჰაერში ნავარდი არ შეუძლიათ. მათი ადგილია ბნელი სორო და საყვარელი საჭმელი—ბაყაყის სისხლი...

ასეთია რევოლიუციის ძლოკვი... გამარჯვების დროს შენთან მოხითხითე, დამარცხების დროს კი—მოწინააღმდეგის წინაშე მუცელზე მხოხავი...

საბრალო და საზიზღარი—იგი არას დროს დასანდობი არ არის...

ცოცხით და ხიშტით... რევოლიუციონური ორგანიზაციებიდან, კომუნისტური პარტიებიდან, პროლეტარული დაწესებულებებიდან—მხოხავი ძლოკვები...

ვინც გარბის თავისით—ჰაიღური და ვინც კიდევ რაღაცას უცდის—მათრახით და ხიშტით გარეკა.

ჩვენ არ გვჭირია მუცელზე მხოხავნი...

ჩვენ არ ვსაჭიროებთ ლაჩრებით გავამრავლოთ ჩვენი რიგები.

ჩვენ გვინდა გმირები...

რადგან მხოლოდ გმირებს შეუძლიათ რევოლიუციონური ფრენა, ქარიშხალთან ბრძოლა!

«Безумству храбрыхъ поемъ мы славу...
Безумству храбрых—вотъ песня наша!

ვინ-ბანი.

# ინტერნაციონალის გარშემო

## კომუნისტური ინტერნაციონალის მე 2 კონგრესი მოსკოვში.

(გაგრძელება. იხ. „ახ. კომ.“ № 66).

### მეთოთხმეტე სხდომა

(4 აგვისტოს საღამოს)

კომისიის სახელით მომხსენებლათ კომუნისტურ ინტერნაციონალის წესდების შესახებ გამოდის

**ამხ. კობაკჩიევი (ბულგარელი).**

ის ამბობს, რომ მესამე ინტერნაციონალის ერთი უპირველესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანა ეს პროლეტარული სოლიდარობის აღდგენაა. ამ ამოცანის გამოყვანას შესძლებს მხოლოდ კომუნისტური ინტერნაციონალი პროლეტარიატის დიქტატურისათვის საერთო რევოლიუციონური ბრძოლის პროცესში. ბურჟუაზიულმა კონტრ რევოლიუციამ მოასწრო შეკავშირება და შექმნა თავისი ინტერნაციონალის ხალხთა ლიგის სახით. პროლეტარიატმა უნდა გააერთიანოს თავისი ძალები და შექმნას სასტიკათ ცენტრალური, მჭიდროთ შეკავშირებული და დისციპლინის მქონე ორგანო, რომელიც შესძლებს უზრუნველ ჰყოს თითოეული ქვეყნის პროლეტარიატი საჭირო მომენტში მაქსიმალურ დახმარების მიღებით სხვა ქვეყნების შეკავშირებულ პროლეტარიატისაგან. რუსეთის რევოლიუციის გამოცდილებამ დაგვანახა, თუ რამდენათ აუცილებელია სასტიკათ ცენტრალისტური პარტია ძალაუფლების დაპყრობამდის და მის შემდეგ.

მე 3 ინტერნაციონალმა უნდა გააერთიანოს ყველა რევოლიუციონური ორგანიზაციები, რომლებიც ცნობენ პროლეტარიატის დიქტატურის პრინციპს. შემდეგ მომხსენებელი ეხება იმ დავას, რომელსაც ადგილი ჰქონდა კომისიაში წესდების ცალკე მუხლების გარშემო. ბევრი ილაშქრებდა იმ მუხლის წინააღმდეგ, რომელიც ამბობს, რომ „კომუნისტური ინტერნაციონალი ისახავს თავის ამოცანათ შეიარაღებულ ბრძოლას ბურჟუაზიულ ინტერნაციონალის დასამხობათ და ინტერნაციონალურ საბჭოთა რესპუბლიკების შესაქმნელათ“, და სხვ., ფიქრობდენ, რა, რომ უხერხულია და სწორიც არ არის ბრძოლის ამ საშუალების წამოყენება და თვით ამ ბრძოლის სხვა მეთოდების მნიშვნელობის დამცირება. კომისიამ დასტოვა ეს მუხლი. ამის დამალვა აღარაა საჭირო, მით უფრო, როდესაც ბურჟუაზია აშკარათ აკავშირებს ყოველგან თეთრ გვარდიას. დებატები კომისიაში გამოიწვია აგრეთვე საკითხმა აღმასკომის ორგანიზაციისა და მისი უფლების შესახებ. ამხ. კობაკჩიევი იცავს წესდების შესაფერის მუხლებს და დაჟინებით მოითხოვს, რომ აღმასკომს უფლება ჰქონდეს გამორიცხოს ცალკე პირები, ჯგუფები და მთელი პარტიები. თუ არ დაემორჩილებიან კონგრესის გადაწყვეტილებებს. ზოგიერთ ამხანაგებს წინადადება შემოქონდათ ყველა პარტიებს ყოლებოდათ აღმასკომში თავიანთი წარმომადგენლები გადამწყვეტი ხმის უფლებით. ამხ. კობაკჩიევი წინააღმდეგია ამისა, ვინაიდან ამ შემთხვევაში აღმასკომი მეტად მძიმე აპარატი გახდებოდა და ვერ შესძლებდა ყოფილიყო საბრძოლველი ორგანო. შემდეგ ის იცავს პარალელურ არა ლეგალურ ორგანიზაციების მოწყობის აუცილებლობას იმის გამო, რომ ზოგიერთი ამხანაგები ამისი წინააღმდეგი არიან. კითხვა იმის შესახებ, შეუძლიათ თუ არა ერთ და იმავე ქვეყნის ორ კომუნისტურ პარტიას იყოლიოს ცალ-ცალკე წარმომადგენლები აღმასკომში, ღიათ არის დატოვებული კომისიის მიერ. კომისიის ერთი წევრთაგანი იუწყება, თუ რა შესწორებები იქნა შეტანილი წესდებაში კომისიის მიერ.

**ამხ. ბილონი**

ხაზს უსვამს წესდების დიდ მნიშვნელობას, წინადადებას იძლევა რაც შეიძლება დაფიქრებით მოვეპყრათ მას და გავარჩიოთ პლენუმზე ის შესწორებები, რომლებიც არ იქნა მიღებული კომისიის მიერ. რუსეთის კომუნისტური პარტიის სასტიკმა დისციპლინამ ხელი შეუწყო იმ დიდ როლს, რომელსაც თამაშობს ის რევოლიუციაში, და ჩვენთვის მიღებული წესდება არ უნდა დარჩეს ქაღალდის ნაგლეჯათ, და სავსებით უნდა გატარდეს ცხოვრებაში. აუცილებელია სტილისტიკური შესწორებების შეტანა იმ მუხლში, რომელიც ლაპარაკობს შეიარაღებული ბრძოლის აუცილებლობაზე, ვინაიდან, მაგალითათ, წესდებაში (ინგლისური რედაქციით) არეულია მიზნისა და საშუალების გაგება. ცხადია, ჩვენ უნდა ვუყურებდეთ შეიარაღებულ ბრძოლას, როგორც საშუალებას. აუცილებელია აგრეთვე სისწორით აღნიშვნა იმის, თუ როგორ პირობებში უნდა ჩავებათ შეიარაღებულ ბრძოლაში; წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ლოზუნგი შეიძლება გამოყენებულ იქნას წმინდა ანარქისტულად. იმ ქვეყნებში, სადაც პირდაპირ არ არის აუცილებელი პირობები, ამ ლოზუნგს თითქმის პროვოკაციული ხასიათიც კი შეიძლება ექნეს. ამ ლოზუნგის შემცდარათ გაგების მაგალითად მას მოყავს გერმანიის მუშათა კომუნისტური პარტიის ტაქტიკა.

მისი აზრით აუცილებელია მე 12 მუხლის შეცვლა იმ მხრივ, რომ არალეგალურ ორგანიზაციების მოწყობა არ

## კაპიტალისტური ქვეყნიერება და კომუნისტური ინტერნაციონალი

(მანიფესტი კომუნისტური ინტერნაციონალის მე-2 კონგრესის)

(გაგრძელება იხ. № 67)

თავის შინაურ ეკონომიურ პოლიტიკაში ბურჟუაზია აქეთ-იქით ეხეთქება და არ იცის რა გზას დაადგეს: ერთი მხრით მას აქვს პროგრამა, რომლის მიხედვით შემდეგშიც უნდა გაგრძელებულ იქნას ახალი დარგების ნაციონალიზაცია, მრეწველობის მოწესრიგება სახელმწიფოს ხელმძღვანელობით და კონტროლი; მეორე მხრით კი გაისმის პროტესტები წინააღმდეგ ომის დროს შემოღებულ სახელმწიფო ჩარევისა მრეწველობის საქმეში. საფრანგეთის პარლამენტი გართულია წრის კვადრატურის ამოცანაში: მას სურს შექმნას „ერთიანი მმართველობა“ რესპუბლიკის რკინის გზების ქსელისთვის, ისე კი, რომ ზიანი არ მიაყენოს კერძო კაპიტალისტურ სარკინისგზო საზოგადოებებს. იმავე დროს საფრანგეთის კაპიტალისტური პრესა გაბოროტებულ კამპანიას აწარმოებს წინააღმდეგ „ეტატიზმისა“,*) რომელიც კერძო ინიციატივას ზღუდავს. ამერიკის რკინის გზები, რომლებსაც არევ-დარევა დაეტყო ომის დროს სახელმწიფოს ჩარევის გამო, კიდევ უარეს მდგომარეობაში ჩავარდენ სახელმწიფოს კონტროლის მოხსნის შემდეგ. ამასთანავე რესპუბლიკანური პარტია დაპირებას იძლევა თავის პლატფორმაში, რომ სრულიად გაათავისუფლებს სამეურნეო ცხოვრებას სახელმწიფოს თვითნებურ ჩარევისაგან. ამერიკის ტრედ უნიონების მეთაური სამუელ გომპერსი—ეს მობერებული მცველი ნაგაზი კაპიტალისა—ბრძოლას ეწევა წინააღმდეგ რკინის გზების ნაციონალიზაციისა, რომელსაც პანაცეიათ ასაღებენ ამერიკაში, საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში რეფორმიზმის ყეყეჩები და შარლატანები. სინამდვილეში კი, სახელმწიფოს მიერ უსისტემო ჩარევა სამეურნეო ცხოვრებაში მხოლოდ შეჯიბრებაა სპეკულიაციასთან რღვევის ეპოქის კაპიტალისტურ მეურნეობაში ხანგრძლივი ქაოსის გასამეფებლად. წარმოების და ტრანსპორტის უმთავრეს დარგების ჩამორთმევა ცალკე ტრესტებისგან და მათი გადაცემა „ნაციის“ მფლობელობაში, ე. ი. ბურჟუაზიული სახელმწიფოს მფლობელობაში, ე. ი უძლიერეს და მტაცებელ კაპიტალისტური ტრესტის ხელში—ეს ნიშნავს არა მოსპობას ბოროტებისას, არამედ მის გადაქცევას საერთო მოვლენად.

ფასების დაცემის და ვალიუტის გაუმჯობესების მაჩვენებელი ფაქტები წარმოადგენენ მხოლოდ ზედაპირულ და დროებით მოვლენას განუწყვეტელ დაღარიბება-გაღატაკებისას. ფასების ქანაობა არ აბათილებენ ძირითად ფაქტებს: ნედლი მასალების ნაკლებობას და შრომის ნაყოფიერების შემცირებას.

ომის მთელი საშინელების თავისი თავით გადამტან მუშათა მასსას არ შეუძლია იმუშაოს უწინდელი ტემპით, უწინდელ პირობებით. რამდენიმე საათში განადგურება წლობით დაგროვილ ღირებულებათა, მილიარდების თამაში ფინანსტთა შაიკის ხელში, რომელიც სულ მაღლა-მაღლა ადის ძვლებზე და ნანგრევებზე—ასეთი გამოცდილება—გაკვეთილების გადამტანი მუშათა კლასი ვეღარ ეგუება დაქირავებულ შრომის ავტომატიურ დისციპლინას. ბურჟუაზიული ეკონომისტები და პუბლიცისტები ლაპარაკობენ „ზარმაცობის ტალღის“ შესახებ, რომელიც გადი-გადადის ევროპაში და ძირს უთხრის მისი მეურნეობის მომავალს. ადმინისტრატორები ცდილობენ საქმეს უშველონ პრივილეგიების მინიჭებით მუშათა კლასის ზედა წრეებისთვის. ამაოთ! შრომის ნაყოფიერების აღსადგენისთვის და კიდევ უფრო ზევით აწევისათვის საჭიროა, რომ მუშათა კლასი დარწმუნებული იყოს იმაში, რომ უროს ყოველი დარტყმა მაღლა ასწევს მის კეთილმდგომარეობას, განათლებას, და იმავე დროს არ მოუმზადებს მას საფრთხეს ხელახალი ურთიერთ გაჟლეტისას. ასეთ მტკიცე რწმენას მას მხოლოდ სოციალური რევოლიუცია მიანიჭებს.

სურსათ სანოვაგის ფასების ზრდა უძლიერესი ფაქტორია რევოლიუციონური მღელვარების ყველა ქვეყნებში. საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის და სხვა ქვეყნების ბურჟუაზია ცდილობს სამოწყალოს გაღებით შეამსუბუქოს სიძვირის ტანჯვა-წვალებანი და გაუმკლავდეს გაფიცვების ზრდას. რათა აგრარიებს გაუნაღდოს ნაწილი სამუშაო ძალის წარმოების, დავალიანებული სახელმწიფო სპეკულიაციის ბნელ საქმეებში ეფლობა განკითხვის ჟამის დასაგვიანებლად. იმ ფაქტს, რომ მუშათა განსაზღვრული წრეები ახლა უკეთ ცხოვრობენ, ვიდრე ომამდის, სრულიად არ აქვს არავითარი კავშირი კაპიტალისტურ ქვეყნების აწინდელ ეკონომიურ მდგომარეობასთან. წუთიერს, ვითომდა სასურველ შედეგს აღწევენ შარლატანური სესხის აღებით ხვალინდელ დღისგან, რომელიც მოვა და თან მოიტანს კატასტროფიულ ტანჯვა-წვალებას და სიღატაკეს.

შეერთებული შტატები? „ამერიკა კაცობრიობის იმედია“!—იმეორებს საფრანგეთის ბურჟუა მილიერანის პირით ტიურგოს სიტყვებს იმ იმედით, რომ მას აპატიებენ ვალებს, რომლების გადუხდელობას თითონ არავის აპატიებს. მაგრამ შეერთებულ შტატებს არ ძალუძთ ევროპის გამოყვანა სამეურნეო ჩიხიდან. უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში მან მოიხმარა მთლად მომარაგებული ნედლი მასალა. ამერიკის კაპიტალიზმის შეგუებამ მსოფლიო ომის მოთხოვნილებისადმი გამოიწვია მისი მრეწველობის საფუძვლის დავიწროება. შეწყდა ევროპიდან ემიგრაცია. პირიქით, ამერიკის მრეწველობას მოაკლდა ასი ათასობით ნემცები, იტალიელები, პოლონელები, სერბიელები, ჩეხები, რომლებიც სამხედრო მობილიზაციის ტალღამ გაიტაცა ან მიიზიდა ხელახლა შექმნილი სამშობლოს მოჩვენებამ. ნედლი მასალის და მუშა ხელის ნაკლებობა მძიმე ლოდათ აწევს ამერიკის რესპუბლიკას და იწვევს ღრმა ეკონომიურ კრიზისს, რომლის ზეგავლენით ამერიკის პროლეტარიატი ფეხს იკიდებს ბრძოლის ახალ საფეხურზე. ამერიკა სწრაფად ემზგავსება ევროპას.

ომის და ბლოკადის შედეგებს ვერ დაემალვენ ნეიტრალური ქვეყნებიც: როგორც ორს, მილით შეერთებულ, ჭურჭელში, ისე ერთმანეთთან დაკავშირებულ სახელმწიფოებში—დიდსა თუ პატარაში, მეომარსა და ნეიტრალურში, გამარჯვებულსა თუ დამარცხებულში, მეურნეობა მიიწევს ერთ და იმავე დონისკენ, გაღატაკების, შიმშილის და ამოწყვეტის დონისკენ.

შვეიცარია დღიდან დღეზე ცხოვრობს და ყოველ მოულოდნელ შემთხვევას შეუძლია დაარღვიოს მისი წონასწორობა. სკანდინავიაში უხვათ შემომავალი ოქრო ვერ სწყვეტს ხალხის გამოკვების პრობლემას; ქვანახშირის მიღება მას უხდება წვრილ წვრილათ ინგლისისაგან და ისიც მოწიწებით, ქუდმოხდილათ. მიუხედავათ ევროპის დამშევისა მეთევზაობა გაუგონარ კრიზისს განიცდის ნორვეგიაში.

ისპანია, რომელსაც საფრანგეთი სწურავდა მუშა ხელს, ცხენებს და სანოვაგეს, თავს ვერ აღწევს მძიმე სასურსათო გაჭირვებას, რაიც იწვევს მქუხარე გაფიცვებს და დამშეულ მასსების ქუჩაში გამოსვლებს.

ბურჟუაზიას მტკიცე იმედი აქვს დამყარებული სოფელზე. მისი ეკონომისტები ამტკიცებენ, რომ გლეხობის კეთილდღეობა მეტის მეტად გაიზარდა. ეს ილიუზიაა. მართალია, გლეხობამ, რომელიც სანოვაგეს აწვდის ბაზარს, ყველა ქვეყნებში ცოტათ თუ ბევრად ხელი მოითბო ომის დროს. ის მაღალ ფასებში ყიდდა თავის ნაწარმოებს და იაფი ფულით გაისტუმრა ვალები, რომელიც აღებული ქონდა იმ ხანებში, როცა ფული ძვირი იყო. ამაში მოიგო მან. მაგრამ მისი მეურნეობა ომის დროს მოიშალა და ძირს დაიწია. მას ესაჭიროება მრეწველობის საგნები, ამათ ფასებმა კი აიწია ზევით იმდენათვე, რამდენათაც ფული გაიაფდა. სახელმწიფო სხვა და სხვა გადასახადები საარაკოთ გაიზარდენ და ემუქრებიან გლეხს ჩაყლაპვით მისი ნაწარმოებით და მისი მამულით. ამგვარად, კეთილდღეობის დროებით მაღლა აწევის პერიოდის შემდეგ, წვრილი გლეხობა ვარდება სულ უფრო აუტანელ გაჭირვებაში. მისი უკმაყოფილება ომის შედეგებით სულ უფრო და უფრო მეტი იქნება, და მუდმივი ჯარის სახით კი გლეხობა უმზადებს ბურჟუაზიას მრავალ არასასიამოვნო მოულოდნელობა.

ევროპის ეკონომიური აღორძინება, რაზედაც მასლაათობენ მისი მინისტრები, სიცრუეა. ევროპა ნადგურდება, მასთან ერთად ნადგურდება მთელი მსოფლიო.

კაპიტალისტურ საფუძვლებზე გადარჩენა შეუძლებელია. იმპერიალიზმის პოლიტიკას თან მოაქვს არა გამარჯვების მოსპობა, არამედ მისი კიდევ უფრო გამწვავება არსებულ გადარჩენილ სიმდიდრის ძარცვით და ტაციობით.

სათბობი მასალის და ნედლი მასალის საკითხი ინტერნაციონალური საკითხია, რომლის გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ და მარტო გეგმისებურ, განსაზოგადოებულ, სოციალისტურ წარმოების საფუძველზე.

სახელმწიფო ვალები უკუგდებულ და დავიწყებულ უნდა იქნენ. შრომა და მისი ნაყოფი უნდა განთავისუფლებულ იქნას იმ ხარკისაგან, რომელიც მსოფლიო პლუტოკრატიის სასარგებლოდ მიდის. უნდა დამხობილ იქნას პლუტოკრატია. უნდა მოიშალოს სახელმწიფოების მაღალი კედლები, რომლებიც აქუცმაცებენ მსოფლიო მეურნეობას. ანტანტის იმპერიალისტების უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მაგიერ უნდა დაწესდეს უმაღლესი ეკონომიური საბჭო მსოფლიო პროლეტარიატისა, რათა ცენტრალისტურად მოეწყოს ექსპლოატაცია. კაცობრიობის ყველა სამეურნეო რესურსების.

უნდა მოკლულ იქმნას იმპერიალიზმი, რათა კაცობრიობას შეეძლოს სიცოცხლის გაგრძელება.

(დასასრული მე-2 თავის).

*) „ეტატიზმი“—სახელმწიფოს წარმოებაში ჩარევის დასაწყისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

…ს სავალდებულო და ამის გადაჭარა …კრეტულად მიენდოს ადგილობრივ …ტიებს.

### ამხ. ვანკოპი

…ცხადებს, რომ მან კომისიაში წეს…ბის კენჭის ყრის დროს თავი შეიკავა. …დება მეტად მნიშვნელოვანი არის, …უნდა იქცეს სინამდვილეთ, ამისთვის …ის უნდა გამოხატავდეს იმას, რაც …ტიებს სურთ. ამიტომ კითხვა იმის …სახებ წინასწარ გარჩეულ უნდა იქნეს …გილობრივათ.

…ე 8 მუხლის თანახმათ, ქვეყანას, რო…შიაც იმყოფება ალმასკომი, ყავს მას… 5 წარმომადგენელი გადამჭრელი …ს უფლებით, 10 ყველაზე უფრო …შვნელოვან პარტიებს ყავთ თითო…თო წარმომადგენელი. თუ ალმასკომი …-ჟეროზით რუსეთში რჩება, მაშინ, … ვანკოპის აზრით, ის არ იქნება …ერთაშორისო ალმასრულებელი კომი…ტი, არამედ გაფართოვებული რუსუ…. ის წინააღმდეგი არ არის ამისი, … კი ეს საჭიროა, იმის გამო, რომ …ეთის პარტია ყველაზე უფრო გავ…ნიანია: მაგრამ ეს პირდაპირ უნდა …ქვას. ბლოკადის არსებობის დროს …ძლებელია კანტროლის გაწევა მუ…ობაზე და მდგომარეობის დაფასება …ა და სხვა ქვეყნებში. კიდევაც რომ …გზავნოთ ჩვენ საუკეთესო ამხანაგები …ალმასკომში, ისინი დაჰკარგავენ კონ…ტს თავიანთ ქვეყნებთან, მიიღებენ …ბებს მხოლოდ და მარტო რუსეთის …როებიდან, და ამის წყალობით, შეი…ება მიღებულ იქნეს შემცდარი გადა…წყვეტილებანი. ის წინადადებას იძლევა …ტანილ იქნეს ალმასკომი ნორვეგია…, იტალიაში და თუ გინდ გერმანია…ც კი.

…თ უფრო აუცილებელია ალმასკო…სათვის სისწორით იცოდეს მდგო…რეობა სხვა და სხვა ქვეყნებში, რომ … მინიჭებული აქვს დიდი უფლება, …ქე პარტიობის გამორიცხვაც კი.

### ამხ. ლევი

…ხულობს, რომ ალმასკომში გაგზავ…ლი ამხანაგები რამდენიმე ხნის შემ… დაჰკარგავენ კონტაქტს თავიანთ …ტიებთან და ქვეყნებთან, იმის გამო, …მ რუსეთთან მისვლა მოსვლა ძნელია. …ალმასკომი სწრაფათ უნდა ეღიბდეს …ოს მოვლენებს, რომლებიც ხდება … და სხვა ქვეყნებში, და ღებულობ… გადაწყვეტილებას, მაგრამ შეიძლე…ბა მოხდეს, დაგვიანებულ ინფორმაციის …, რომ მან ვერ შესძლოს ეს. ვინაი… არ არის იმის გარანტია, რომ ალ…კომის ყველა წევრებს შეძლება ექ…თ განუწყვეტლივ იმუშაონ ალმას…ში, ამხ ლევი წინადადებას იძლევა … თვეში ერთხელ მოიწვიონ ალმას…ის პლენუმი მეტად მნიშვნელოვან …კითხების გადასაწყვეტად.

### ამხ. გალაკერი,

…მბობს, რომ, როგორც ინგლისის კო…ნისტური პარტია, ისე ბრიტანიის …ციალისტური პარტიაც ერთი ფეხით …დგნან მე-III ინტერნაციონალში, ხო…ლო მეორეთ—მე II ინტერნაციონალში, …ნაიდან ისინი აქამდის არ გამოსუ…ლან მუშათა პარტიიდან. ამის გარდა … სრულიათ არ აქვთ ნამდვილი რე…ვოლიუციონური ბრძოლის უნარი. ამი…ტომ აუცილებელია ვიზრუნოთ ისეთ …ორგანიზაციის შექნაზე, რომელიც მო…ამზადებდა პროლეტარიატს შეიარაღე…ბულ ბრძოლისათვის.

### ამხ. რიდი

…წინააღმდეგია მე-14 მუხლის, რომე…ლიც ლაპარაკობს მე-3 ინტერნაციონა…ლის პროფესიონალურ სექციის შექმნაზე. …სანამ კომისია პროფესიონალურ მოძრა…ობის შესახებ არ დაათავებს მუშაობას …ვინაიდან ეს საკითხი ძალიან რთული და …მნიშვნელოვანია.

### ამხ. ვრაინა

…მომხრეა წესდების მიღების მე-14 მუ…ხლის გამოკლებით, რომელიც, მისი აზ…რით, ჯერ კიდევ უნდა გაირჩეს. ამხ. …ვრაინას აზრით, მეტათ შესაფერისი ად…გილი ალმასკომის ბინისათვის რუსეთია, …საბჭოთა რუსეთის სპეციფიკურ პირობე…ბის გამო. ყველაზე უფრო შეუფერებელი …ადგილი იქნებოდა ბერლინი, როგორც …დაგვანახა დასავლეთ ევროპის ბიუროს …არსებობის გამოცდილებამ, რომელიც …თავის მოქმედებაში ხელმძღვანელობდა …გერმანიის სპეციფიკური პირობებით ალმასკომის რუსეთში დაბინავება იმის გარანტია იქნება, რომ მუშაობა იწარმოებს ინტერნაციონალური სახით. ამხ. ვრაინა მომხრეა არალეგალურ ორგანიზაციების აუცილებლობის, იმისთვის, რომ ლეგალურათ შეუძლებელია მუშაობის წარმოება მეზღვაურეებში და ჯარისკაცებში, ამას გარდა პირობები შეიძლება იხე შეიცვალოს, რომ პარტია მოკლებული იქნება საშვალებებს აწარმოოს მუშაობა ლეგალურად. ის ხაზს უსვამს ცენტრალიზაციის აუცილებლობას, ვინაიდან მხოლოდ ის შეუწყობს ხელს მსოფლიო პროლეტარიატის მოქმედებათა ერთობას.

### ამხ. ზინოვიევი

რომელიც გამოდის უკანასკნელი სიტყვით ამხ. კობაქჩიევის მაგივრათ, ამბობს: წინადადებას იძლევიან ან სრულიად ამოვშალოთ მე-14 მუხლი, ან-და გადავდოთ პროფესიონალურ მოძრაობის შესახებ კომისიის მუშაობის დათავებამდე. ის დავა, რომელსაც აქ ადგილი ჰქონდა, საქმეს არ ეხება. საჭიროა ხაზი გაუსვათ, რომ ჩვენ გვსურს მიემხრონ მესამე ინტერნაციონალს არა მარტო პოლიტიკური ორგანიზაციებიც, რომლებიც დგანან კომუნისტურ თვალსაზრისზე. ჩვენ განვაგრძობთ ამ მხრივ მესამე ინტერნაციონალის ტრადიციებს. ეს უდავო ჭეშმარიტებაა ყოველი კომუნისტისათვის. რევოლიუციონურ-პროლეტარული პროფკავშირები უნდა შევიდენ მესამე ინტერნაციონალში სექციის სახით, ეყოლებათ რა თავიანთი წარმომადგენლები ალმასკომში.

დიდი კამათი გამოიწვია მე-8 მუხლმა ალმასკომის შესახებ. ამხ. ვანკოპი წინადადებას იძლევა გადატანილ იქნეს ალმასკომის ბინა ნორვეგიაში ანუ იტალიაში. მაგრამ მაშინ რატომ არ უნდა გადავიტანოთ ის ირლანდიაში, ვენეცუელაში ან და სხვა რომელიმე ეგზოტიკურ ქვეყანაში? უწინარეს ყოვლისა მე-8 მუხლში არ არის ნათქვამი, რომ ალმასკომს რუსეთში უნდა ჰქონდეს სხდომები; ლაპარაკია მხოლოდ იმის შესახებ, რომ კონგრესმა უნდა გადასჭრას საკითხი ალმასკომის ბინადრობის შესახებ. ამხ. ვანკოპი ამბობს, რომ ალმასკომი იქნება გაფართოებული მაგრამ ეს სრულიად არ არის სწორი, ვინაიდან ალმასკომის ორი მესამედი იქნება სხვა და სხვა ქვეყნის წარმომადგენლები. ზოგიერთი ამხანაგები ამბობენ, რომ ძნელი იქნება მოვაცილოთ საჭირო ამხანაგები სამუშაოს. ხოლო შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ალმასკომის მუშაობა როგორც ფუფუნება.

ამხ. ზინოვიევი სრულიად არ ეთანხმება ამხანაგების რწმუნებას, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში ამხანაგები, გაგზავნილნი დელეგატებათ ალმასკომში, დაჰკარგავენ კონტაქტს თავიანთ ქვეყნებთან, რასაკვირველია, თუ კი ისინი ძველი მებრძოლები არიან; ხომ არ კარგავენ კონტაქტს რუსი ამხანაგები, რომლებიც ემიგრაციაში იყვენ რამდენიმე წლის განმავლობაში. როგორც იყო პირველ ინტერნაციონალშიაც, თითოული ქვეყნის წარმომადგენელი ალმასკომში იქნება თავისი სექციის მდივნადაც. ალმასკომი რამდენიმეთ კონგრესზე უფრო მნიშვნელოვანია იმ რევოლიუციონურ მომენტში, რომელსაც ჩვენ განვიცდით: 2 კვირის განმავლობაში შეიძლება სიტუაცია შეიცვალოს, და მან უნდა მიიღოს ესა თუ ის გადაწყვეტილებები; ამიტომ აუცილებელია მისი აღჭურვა ფართო სრული უფლებებით. კონგრესის ამოცანა უნდა იყოს მსოფლიო რევოლიუციის გენერალური შტაბის შექმნა, რომელიც უხელმძღვანელებდა პროლეტარიატის ბრძოლას და სახელმძღვანელოთ დარიგებებს მისცემდა ცალკე პარტიებს. თუ ჩვენ დავიშლებით ისე, რომ არ შევქმნით ამ ორგანოს, სანახევროთ მოვსპობთ ჩვენს მუშაობას. ამხ. ზინოვიევი წინააღმდეგია ამხ. ლევის წინადადების ყოველ 3 თვეში ალმასკომის პლენუმის მოწვევის შესახებ, ვინაიდან ეს სხდომები იქნება მარტო პარადი და სხდომებს შორის კვირის განმავლობაში ალმასკომის მუშაობა ნულამდე დავა.

ამხ. ზინოვიევი, ედავება რა იმ ამხანაგებს, რომლებიც გამოვიდენ ლეგალერებთან პარალელურათ არალეგალურ ორგანიზაციების მოწყობის აუცილებლობის წინააღმდეგ, და რომლებიც ამას ემყარებოდენ, რომ მათ წაერთმევათ შეძლება ლეგალური მუშაობის, ამბობს, რომ გერმანელ, ავსტრიელ, იტალიელ, ბულგარელ ამხანაგების განცხადებებით მუშათა მოძრაობა იქ იმდენათ ძლიერია, რომ კონგრესის ვერავითარი გადაწყვეტილებები ვერ ჩააგდებენ საფრთხეში ამ პარტიების ლეგალურ არსებობას. უნდა ვუთხრათ მუშებს, რომ, ვაყენებთ რა ყველა ლეგალურ შესაძლებლობას, ჩვენ უნდა მოვაწყოთ არალეგალური ორგანიზაციებიც, ვინაიდან ყოველთვის შეიძლება დადგეს მომენტი, როდესაც ბურჟუაზია წაართმევს მათ შესაძლებლობას აწარმოვონ ლეგალური მუშაობა.

კომისიამ ერთხმათ მიიღო (მხოლოთ 1-მა თავის შეიკავა) საერთოდ და მთლიანათ წესდება, და ამხ. ზინოვიევს იმედი აქვს, რომ პლენუმიც ისეთივე ერთსულოვნობით მიიღებს წესდებას.

კომისიის თეზისები მიღებულ იქნა საფუძვლათ. ყველა შესწორებებს რიგრიგობით კონგრესი უარყოფს. შემდეგ წესდება მთლიანად მიღებულ იქნა კონგრესის მიერ.

ხურავს რა სხდომას ამხ. ზინოვიევი ულოცავს კონგრესს წესდების მიღებას და ერთიან კომუნისტურ პარტიის დაარსებას.

(შემდეგი იქნება)

# ბიულეტენი პრესბიუროსი

**რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.**

### ქვა-ნახშირის ფენების აღმოჩენა.

**მოსკოვი,** 10 ოქტომბერი. ტაგანროგის მაზრაში აღმოაჩინეს ქვა-ნახშირის მადანი 2 საჟენის სიღრმეში. ნახშირის ფენების გადასამუშავებლათ მოაწყვეს შრომის სამთომადნო არტელი. ქვანახშირის ქალაქში შეტანა ძალიან ადვილია, მით უმეტეს, რომ გლეხებმა აღუთქვეს 400 ურმით ყოველ დღე დახმარება.

### მუშების რიცხვის გამრავლება დონის ოლქში.

**მოსკოვი,** 10 ოქტომბერი. უკანასკნელ დროებში დონის ოლქში ემჩნევა მუშების რიცხვის გამრავლება. თებერვალში მუშების რიცხვი უდრიდა 175,000, მაისში—195,000, ივნისში—244,000 და აგვისტოში—245,900.

### კანონი მაგარ სასმელების ხმარების წინააღმდეგ.

**ტრაპიზონი,** 30 სექტემბერი. ქემალის მთავრობამ სათრობ სასმელების ხმარების წინააღმდეგ კანონი გამოსცა. ყოველგან დაჰკეტეს სათრობ სასმელების საწყობები და დუქნები. ორი თვის განმავლობაში ყველა სასმელებით მოვაჭრეებმა თავისი საქონლები სახელმწიფოს საზღვრებიდან უნდა გაიტანონ. ამ ვადის გასვლის შემდეგ, თუ ვერ მოასწრეს საქონლის გატანა, საქონელი ჩამორთმეული იქნება და მეპატრონეებს კი ჯარიმას დაადებენ და ციხეში დაამწყვდევენ.

### სამხედრო ბარგების საკითხი.

**მოსკოვი,** 4 ოქტომბერი. შვეიცარიის მთავრობამ უარი განაცხადა რკინის გზელ მუშების მოთხოვნაზე, რომ საზღვარ გარეთელ ტრანსპორტებს მუშათა საკანტროლო კომისია ათვალიერებდეს. მთავრობამ მაინც განაცხადა, რომ იგი, როგორც წინათ ყოფილ ომში შვრებოდა, ისე არც ახლა გადაატარებს შვეიცარიის ტერიტორიაზე სამხედრო ბარგებს.

### მოთხოვნა ნოსკეს პარტიიდან გაძევებაზე.

**ბერლინი,** 8 ოქტომბერი. ქალ. კილში მომხდარ სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციების კრებაზე გადაწყვიტეს პარტიულ ყრილობაზე ნოსკე გაძევებულ იქნეს პარტიიდან, იმის გამო, რომ მისი წიგნი „კილიდან კაპამდის“ სავსეა კილელ ამხანაგების უდიერი ლანძღვით.

### ძვირფასი კინო-სურათები.

**როსტოვი,** 5 ოქტომბერი. ერთ სარდაფში შემთხვევით იპოვეს ჩაფლული 3,188 კინო სურათი, რომელიც ამჟამათ იშვიათ სიმდიდრეს წარმოადგენს, როგორც, მაგალითად, ინდოეთში და იტალიაში მოძრაობის სურათები.

### უმუშევართა სისხლით შეღებილი დემონსტრაციები.

**მოსკოვი,** 3 ოქტომბერი. ქ. სანქფურტში გასულ სექტემბერს თვითმართველობის შენობის წინ მოხდა უმუშევართა შეტაკება პოლიციელებთან. მიუხედავათ იმისა, რომ პოლიციელები ჰაერში ისროდენ, მუშები დაჟინებით ცდილობდენ თვითმართველობის შენობაში შეცვენას; ჩამოაგდეს რკინის კარები. მაშინ პოლიციელებმა მუშებს პირდაპირ დაუშინეს და 15 კაცი კიდეც დასჭრეს.

### ჩეხიის გერმანულ სოციალ-დემოკრატების პროგრამა ეროვნულ საკითხში.

**მოსკოვი,** 3 ოქტომბერი. ჩეხიის გაზეთები დაწვრილებით გადმოგვცემენ შემდეგ დაწვრილებითი ტექსტს ჩეხიის გერმანულ სოციალ-დემოკრატების პროგრამისას ეროვნულ საკითხში:

„ნაციონალურ სახელმწიფოებში, როგორც ჩეხო-სლოვაკიის რესპუბლიკაა, პროლეტარიატის მიერ ძალა უფლების დაპყრობა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც ყველა ეროვნებათა პროლეტარები აწარმოებენ ბრძოლას ერთსულოვნათ. სანამ კაპიტალიზმი ბატონობს, ეროვნებათა თვითგამორკვევა განუხორციელებელია. კაპიტალიზმის ბატონობის ჩარჩოებში ნაციონალური ბრძოლა ემსახურება მასსების ჩამოცილების საქმეს მათ ინტერესებისაგან და ბურჟუაზიული წყობილების გამტკიცებას. აი ამისთვის, ჩვენი უახლოესი მიზანია არა „ნაციონალური ავტონომია, არამედ არსებული ჩეხო-სლოვაკიის რესპუბლიკაში ბურჟუაზიის ჩამოგდება. ჩვენ გვსურს საბჭოების საშვალებით მჭიდრო კავშირი შევქმნათ იმავ პლატფორმაზე მდგომ სოც.-დემოკრატიულ პარტიის მემარცხენე ფრთებთან ჩეხო-სლოვაკიაში. ჩვენ არ უნდა დაუცადოთ როდის შეიკრიბება კლადნოში მუშათა დეპუტატების საბჭო და მუშათა დეპუტატების დროებით ცენტრალური საბჭოს ყრილობა და ისე კლადნოს ქარხნების თანხმობით ავირჩიოთ დელეგატები, რომლებიც გააბამენ კავშირს ჩვენსა და ჩვენს ჩეხელ ამხანაგებ შორის.

### ვილნოს აღება.

**მოსკოვი,** 12 ოქტომბერი. პოლონელებმა ვილნო აიღეს. მიუხედავათ ზავის ჩამოგდებისა, მიუხედავათ პოლონეთის ლიტვასთან შეთანხმებისა, პოლონეთის ჯარებმა ლიტვის სატახტო ქალაქი დაიკავეს!

### გლეხთა აჯანყებები გალიციაში.

**მოსკოვი,** 12 ოქტომბერი. პეტლიურას და პოლონელების საწინააღმდეგოთ აღმოსავლეთ გალიციაში გლეხთა აჯანყებები დაიწყო.

### რკინისგზელების გაფიცვები ინდოეთში.

### პოლონეთი და ვრანგელი.

**ლონდონი,** 11 ოქტ. პოლონეთი უნდობლათ ეპყრობა ვრანგელის მოქმედებას. საზოგადო აზრი ვარშავში იმის მომხრეა, რომ ყოველივე კავშირი შესწყვიტოს პოლონეთმა ვრანგელთან. ვრანგელის წარმომადგენელი მახროვი ვარშავაში მივიდა; მისი მოლაპარაკება, რათა ერთად დაიწყონ სამხედრო მოქმედება საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, ნაყოფიერად ვერ თავდება. პეტრე სტრუვემ პარიზში გაზეთებში გამოაცხადა, რომ ვრანგელის მთავრობა პოლონეთს სთხოვს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ომის გაგრძელებასო.

### მღელვარება ინდოეთში.

**ბერლინი,** 11 ოქტ. გაფიცვების გამო ყველა რკინის გზის ლიანდაგებზე ინდოეთში მოძრაობა შეწყდა. ბნელმა მოიცვა კალკუტა. ბომბეიში გაფიცულია ელექტრონის სადგურების 1,500 მეტი მუშა, აგრეთვე სხვა დარგებშიც.

# უკანასკნელი ცნობები

**სამხ. ოპერატ. 13 ოქტომბრის რადიო-ცნობა რესპუბლიკის „რევოენსოვეტის“ საველე შტაბისა.**

**მოსკოვი, 15 ოქტომბერი.**

### დასავლეთის ფრონტი.

მინსკის დასავლეთით მწვავე ბრძოლები გრძელდება.

სლუცკის რაიონში ცვალებადი ხასიათის ბრძოლები გრძელდება.

ლუნეცკის მიმართულებით ჩვენ პოგოსტი დავიჭირეთ, რომელიც ქიტკოვიჩის სამხრეთით 20 ვერსზე მდებარეობს.

კოროსტენის რაიონში ჩვენ სად. კოროსტენი დავიჭირეთ.

ნოვოგრად-ვოლინის რაიონში ჩვენი წინსვლა გრძელდება.

სტარო-კონსტანტინოვის მიმართულებით ჩვენ ოსტროპოლი დავიკავეთ, რომლის რაიონში შევიპყრეთ ტყვეები. მოწინააღმდეგის იერიშები ნოვო-კონსტანტინოვკაზე მოვიგერიეთ.

პროსკუროვის მიმართულებით დერეჟნის ჩრდილო აღმოსავლეთით და სამხრეთ დასავლეთით ცვალებადი ხასიათის ბრძოლები გრძელდება.

### ყირიმის ფრონტი.

ნიკოპოლის რაიონში მდ. ბუზულუკზე ცხარე ბრძოლებია.

ალექსანდროვსკის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა კვლავ შეავიწროვეს მოწინააღმდეგე, დაახევინეს სამხრეთისაკენ და კიჩკასის მდინარეზე გადასასვლელი დაიჭირეს.

### ტროცკის განკარგულება.

**მოსკოვი,** 14 ოქტომბერი. ტროცკის განკარგულება ჯარისა და ფლოტისადმი. „პოლონეთთან ზავის პირობები ხელმოწერილია. ეგ ზავი წითელი არმიის ფასდაუდებელი სისხლით მოვიპოვეთ. რომ სამხრეთისაკენ არ იყვეს ვრანგელი, რუსეთი ომისგან თავისუფალი იქნებოდა. ჯარის დიდი ნაწილის დემობილიზაციას მოვახდენდით.

მუშები და გლეხები მშვიდობიან შრომას მოუბრუნდებოდენ. მოკლე დროში ჩვენ გავაუმჯობესებდით ქვეყნის მდგომიარეობას. წითელ არმიის ჯარის კაცებო! ყოველივე ამას მხოლოდ ვრანგელი გვიფერხებს. მშვიდობიანობისკენ მიმავალ გზაზე გვეხეჩება ვრანგელი. შემუსრეთ ვრანგელი! აღგავეთ მისი ბანდები პირისაგან მიწისა!

### წითელი დროშა რომში.

**მოსკოვი,** 15 ოქტ. რომიდან იუწყებიან, რომ მუშების მიერ სახელოსნოების და ტრამვაის პარკის დაპყრობის დროს რიმში, ტივოლში წითელი დროშა აღმართეს.

ტურინში 40 შეიარაღებული წითელი არმიელმა განაიარაღეს 10 აფიცერი.

### ამოცანა კიდევ არ არის გამოყვანილი.

**მოსკოვი,** 14 ოქტ. „პრავდის“ მოწინავე სწერს: „დროებით ზავი, რომელიც შეიკრა რიგაში, ნაყიდია ჩვენ მიერ საკმაო ძვირფასი საფასურით. ჩვენ თავს მოგვახვიეს ორი უსამართლობა: ტერიტორიალური დათმობა და იმ ზარალის ადგენა, რომელიც რუსეთმა 1914 წლიდან მიაყენა პოლონეთს იქიდან სხვა და სხვა სიმდიდრის გამოტანით. სხვანაირათ რომ ვთქვათ, რუსეთის ხალხი პასუხის მგებელი შეიქნა მეფის პოლიტიკის, იმ მეფის, რომელიც მან სიკვდილით დასაჯა.

საფრანგეთის ბურჟუაზია ყოველთვის აქეზებდა ჩვენს წინააღმდეგ პოლონეთს, ალაშქრებდა ჩვენზე, ცდენდა დახმარებით. მაგრამ, საფრანგეთის მიერ მიღებულ ყოველგვარ ზომებზე უძლიერესი, პოლონეთის შინაური რღვევა გამოდგა: უკანასკნელმა მომენტმა აიძულა პოლონეთი ზავზე.

გამოცდილება გვასწავლის მომავალში პოლონეთთან დიდის სიფრთხილით მოვიქცეთ. ჩვენ ვერ დავენდობით მათ დაპირებას.

ჩვენს სამხედრო ამოცანას კიდევ ვერ სწყვეტს საბოლაოთ პოლონეთთან შეკრული ზავი.

# მუშათა ცხოვრება.

## ჩვენში.

### მთავარი სახელოსნოები.

5 ოქტ.. 1920 წ., დილით 6 საათზე, ვაგონთა განყოფილების მუშა-მოსამსახურეებმა მოიყარეს თავი სატაბელოსთან რომლებიც თხოულობდენ კავშირის წევრების მოსვლას თავ-მოყრილ ხალხთან. აქ ჩაერიენ სექციის წევრები, რომელნიც მოუწოდებდენ ხალხს შედგომოდენ მუშაობას და „ანარქიაში“ არ მიეცათ თავი, როგორც ეს მოხდა სამტრედიაში. სხვათა შორის ხალხის მოთხოვნა იყო შემდეგი: 1) შეშისათვის ზრუნვა, 2) ჯამაგირების გადიდება, 3) მიზეზი პურის გაძვირების. 4) ტანისამოსი იაფ-ფასებში, 5) პურის ულუფის გადიდება, 6) სად წავიდა შაქარი და ბრინჯი და სხვა და სხვა შეპირებანი.

ყველა ამეებს პირდებოდა ხალხს ერთი სექციის წევრი; ვინც ხმას ამოიღებდა, მას გალესილი ხმალივით ჰქონ-

და ენა: თქვენ კონტრ-რევოლიუციას ახდენთო.

სწორედ ეს იმ ხალხს, რომლებიც დღემდე იყო ავანგარდი რევოლიუციის, და დღეს კი, რადგან ასეთი მოთხოვნილებას აყენებენ, ამიტომ არიან კონტრ-რევოლიუციონერები. ხალხი 7 საათზე იქნა დაშლილი დიდი მუქარით, დათხოვნით, ცირკულიარით და სხვა.

სანამდის გვაწვალებთ, ბოლო როდის ექნება? ხალხი ითხოვს თავისუფალ ცხოვრებას, თავისუფალ სიტყვას, და ეს ყოველი შეზღუდულია: ვაი მუშის მტერს, რომლებიც ელობებიან დღეს ისევ მუშებს, თვით მუშების არჩეულებს.

ამ ხალხთა კრებაზე ისმოდა ხმა: „მოხდეს არჩევნები“!

დიახ, ამას მოითხოვს თვით წესიც და პატიოსნებაც. დროა არჩევნების, დროა ყრილობის, ე. ი. რკინის გზელების მესამე ყრილობის, მთელი რეგისტრაცია კავშირების და სხვა.

გაუმარჯოს ახალ არჩევნებს მე-3-ე რკინის გზელთა ყრილობას.

გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს.

გაუმარჯოს მუშათა ძალა უფლებას, გაიკიცხონ ყველა მუშის მტრები.

ნ. ც—ლი.

---

### საზღვარ-გარეთ.

#### ამსტერდამის წინაალმდეგ.

(დასასრული „ახ. კომ.“ № 68)

საბჭომ მიმართა მთელი ქვეყნის პროფ. კავშირებს თავისი ორგანიზაციების ძირითადი საფუძვლების ახსნით და მოწოდებით, რათა შევიდენ მის რიგებში. დაახლოვებითი გამოანგარიშებით საბჭოს ახლაც ყავს დაახლოვებით 9 მილიონი მუშები, რომლებიც შედიან სხვა და სხვა ნაციების კავშირებში, რომლებიც თავის მხრივ ამსტერდამის საერთაშორისო ფედერაციის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ. საბჭო დაუყოვნებლივ ამსტერდამთან კავშირის გაწყვეტას არ თხოულობს, მაგრამ მოუწოდებს კავშირებს ამსტერდამის ფედერაციის შიგნით აწარმოონ მწვავე და თანდათანობრივი მუშაობა კომინტერნაციონალის პლატფორმაზე ფედერაციის დასაპყრობათ.

მოკლე დროში საბჭოს ტეხნიკური მანქანა იქნება მოწყობილი, რომელმაც უნდა აწარმოოს არა მარტო დიდი საა გიტაციო მუშაობა,—მსოფლიო მასშტაბში, არამედ უნდა გამოიმუშავოს სხვა და სხვა პრაქტიკული ზომები; მასთან ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ზომას წარმოადგენს უახლოეს დროში პროფესიონალურ კავშირების ნაციონალურ ცენტრებთან მტკიცე კავშირის მოწყობა, რომლებიც შედიან საბჭოში. შემდეგ, საბჭომ ახლავე უნდა შეუდგეს ისეთ მნიშვნელოვან ტეხნიკურ საკითხების გარჩევას, როგორიც, მაგალითად, მუშების და ტეხნიკებს ემიგრაციის და იმიგრაციის გეგმის გამომუშავება, სრ. რ. ს. პ. მ. და ბრომსახკობის შეთანხმებით სხვა და სხვა დარგის მრეწველობა—წარმოებებში საბჭოთა რუსეთში, შვეციიდან, გერმანიიდან, ნორვეგიიდან და სხვ. მოსულ მუშების დანაწილება, საავიტაციო პუნქტების მოწყობა, უცხოელთათვის რუსულ ენის შესასწავლათ შკოლების დაარსება, ბიულეტენების გამოცემა და სხ.

უფრო არსებით საკითხზე—საბჭოში შემავალ ცენტრების მოქმედების სხვა და სხვა ქვეყნების რევოლიუციონურ პარტიების მოქმედებასთან კოორდინაციისთვის (ე. ი. იმ პარტიებთან, რომლებიც კაპიტალისტურ წყობილების დასამხობათ იბრძვიან),—ხელმძღვანელის როლი კომინტერნს ეკუთვნის, მიუხედავათ იმისა, რომ პროფესიონალურ კავშირების კონფერენციის მოწვევამდის საბჭო ავტონომიური არგანიზაციაა. უნდა ველოდეთ, რომ ნახევარი წლის განმავლობაში, რომელიც დარჩენილა კონფერენციის მოწვევამდის, ცხოვრება მოგვცემს საკმარის მასალას იმისთვის, რომ საბჭო მესამე ინტერნაციონალის სექციათ გადაიქცეს, რის უმისოთ ერთიანი წითელი ფრონტის შექმნა მოკლე დროში არ შეიძლება. კონფერენციაზე ეგ საკითხი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იქნება.

საერთაშორისო საბჭოს ორგანიზაცია ჩვენს პროფესიონალურ კავშირებს დიდ ვალდებულებებს აკისრებს. შევლიან რა საბჭოში ჩვენი კავშირები, მათ უნდა გამოიჩინონ ნიჭი და უნარი, რომ თავისი მანქანა ევროპის და ამერიკის კავშირების მანქანას დაუახლოვონ, და არ ჩამორჩენ უკან. თითქმის ისეთ პრაქტიკულ საკითხის გადასაწყვეტათ, როგორიცაა საზღვარ გარეთული მუშების გამოყენება, რომლებიც იჩენენ ჩვენსკენ ძლიერ ლტოლვას, ჩვენ არ გვაქვს საკმარისათ მოწყობილი მანქანა, რაც უკვე გამოჩნდა ჩვენთვის.

პროფესიონალურ კავშირების საერთაშორისო საბჭოს მოწყობა ჩვენგან დიდ უნარს და მუშაობას მოითხოვს, რაც ხელს შეგვიწყობს ფეხდაფეხ გავყვეთ კომინტერნს ამსტერდამის პროფესიონალურ კავშირების ყვითელ ინტერნაციონალის წინაალმდეგ ისეთივე რწმენით, როგორიცაც ჩვენ მივდიოდით და მივდივართ მასთან (კომინტერთან) ერთად ყვითელ მეორე ინტერნაციონალის წინაალმდეგ.

---

## სოფელი და მიწის მუშა

#### ხიდისთავი (გურია)

გურიაში ხიდისთავს, შედარებით სხვა სოფლებთან სხვადასხვა კულტურული დაწესებულებებით, როგორიცაა მაგალითად ფოსტა, სამკითხველო, თეატრი, ოთხკლასიანი სასწავლებელი და სხვა, პირველი ადგილი ეჭირა. ამ დაწესებულებების დაარსებაში მონაწილეობას ღებულობდა არა რომელიმე პარტია, არამედ მთელი ხალხი. ავილოთ სამკითხველო. სამკითხველოს გახსნისთანავე იქნა არჩეული გამგეობა; პირველი გამგეობა უნდა ითქვას, რომ მუშაობდა შეძლების და გვარად, რაც შეეხება უკანასკნელ გამგეობას, რომლის შემადგენლობა მენშევიკურია, სრულებით არ ზრუნავს სამკითხველოს არსებობისათვის. ხიდისთავის ვებერთელა თემს, დღეს სამკითხველო არ აქვს; ეს არის, როგორც გამგეობის სისუსტე, ისე მენშევიკების კოლექტივის „მოღვაწეობა“. ხიდისთავის მენშევიკები და ცხადია, სამკითხველოც, ორი თვეა, რაც უგაზეთოთ არის დარჩენილი. უგაზეთოთ კი სამკითხველოს არსებობა ჩემის აზრით, ყოვლად შეუძლებელია. მეორე მიზეზი კიდევ ისიც არის, რომ გამგეობას არ მიუღია არავითარი ზომები, რომ საპკითხველოსთვის ბინა ეშოვა.

ახლა ავილოთ თეატრი. ადგილობრივი სცენის მოყვარეთა დახმარებით ხიდისთავმა შეიძინა თეატრი, რომელსაც ყავდა გამგეობა ბარ. მეგრელიძის მეთაურობით.

ხუთი წელი გადის მას შემდეგ, რაც აქ თეატრი არსებობს. ამ ხნის განმავლობაში ხშირად იდგმებოდა წარმოდგენები, იმ მიზნით, რომ თეატრისათვის შეეძინათ საჭირო ნივთები, რომელიც სისრულეში იქნა მოყვანილი. შეიძინეს: საუკეთესო ფარდა, ტანისამოსი, სკამები, მაგიდა და სხვა. რომ ნახოთ ახლა ეს თეატრი—ნახავთ თეატრს კი არა, არამედ საჯოგეს, რომელიც უპატრონობის გამო ისიც დამპალია.

რაც შეეხება ზემოთ დასახელებულ ნივთებს, იმაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. არც ერთი არ არის მოუპარავი.

ასეთნაირად ეკიდებიან ადგილობრივი „საზოგადო მოღვაწეები“, საზოგადო ქონებას. ხიდისთავის „მოწინავეები“ ეძებენ თბილ-თბილ ადგილებს, შენი საზოგადოების ქონება კი ფეხებზე ჰკიდიათ.

უ—ლი.

---

#### სოფ. დიდ-ჯიხაიში

ჩვენი სამკითხველო-ბიბლიოთეკის მდგომარეობა ძლიერ ცუდია. ჯერ კიდევ ძველი რეჟიმის დროს ის არსებობდა, როგორც წესიერების შემოწირულების დახმარებით, აგრეთვე სხვა და სხვა სამოსწავლო ნივთების მოწაფეებისათვის მიწოდების შემოსავლით. მოწაფეები აქ ყიდულობდენ რვეულებს, კალმებს, მელანს და სხვა სამოსწავლო ნივთებს; აგრეთვე ბავშვებს ხშირად გამოქონდათ წიგნები და საყმაწვილო ჟურნალები წასაკითხად.

ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდა გადატრიალებას შემდეგაც, რამდენიმე ხანს, ხოლო როცა ჩვენში გამეფებულმა პარტიამ მენშევიკებმა ჩაიგდეს ხელში ყველა ადგილობრივი საქმეები, ეს ძლიერ სასარგებლო დაწესებულებაც მიკეტილ იქნა; ალბათ „ერთნაირი ხათრით“. ამ დროს წიგნის მაღაზიის პატრონმა, ადგილობრივ მენშევიკების პარტიის მომხრე წევრმა, თავისუფლად გააჩაღა ვაჭრობა ზემოთ მოყვანილ ნივთებით, რითაც მან შესძლო თავის მაღაზიის გაფართოვება.

რა თქმა უნდა ამისთანა პირები ბიბლიოთეკის გაღებისთვის დიდათ არ იზრუნებდენ. შემდეგ, როგორც ბევრი სხვა დაწესებულების ისე ბიბლიოთეკის საქმეც ერობამ იკისრა, მაგრამ არც ამით გაბედნიერდა ჩვენი ბიბლიოთეკა. პირველ გახსნის ხანაში იმედი დაგვებადა, რომ ყველა გაზეთებს გადავათვალიერებდით, მაგრამ მალე ისევ გაგვიცრუვდა იმედები, რადგან ბიბლიოთეკაში გაზეთებს ველარ ნახავთ გარდა ახალი კომუნისტისა, რომელიც უფასოდ მოსდის ბიბლიოთეკას, მაგრამ იმასაც სტოლის ბოლოში ისეთი ადგილი უჭირავს, რომ თუ ძალიან დაინტერესებული არა ხართ, ვერც მონახავ. არ ვიცით სანამდის გაგრძელდება ჩვენი ბიბლიოთეკის ასეთი მდგომარეობა და როდის გახდება ის მათი (ვისიც ჯერ არს) ყურადღების ღირსი.

* * *

წელს ჩვენში მშრომელმა გლეხობამ ჯერ მისთვის უნახავი შიმშილი გადაიტანა, თუ შეიძლება ეხლანდელ პირობებში გადატანილად ჩავთვალით შიმშილი. გაჭირვებულმა ხალხმა ნახევარი წინა წლის საზრდო წინდაწინ შესჭამა, რადგან ნედლი სიმინდი ძალად გახმობის შემდეგ ნახევარზე ნაკლები გამოდის რაც მომავალში უთუოდ ორკეცად გააუარესებს მდგომარეობას. გაჭირვებული მუშები იძულებული გახდენ დაეწყოთ ჩარჩობა ბათუმში სანოვაგის გაზიდვით და მონაგებით სიმინდი ეყიდათ, რომელიც ადგილობრივად 1000—1500 მანეთამდე ღირდა ფუთი. რომ შეეკითხოთ გიპასუხებენ ის პირები, რომ ასეთი ჩარჩობა არ დაგვეწყო შიმშილით სიკვდილი მოგველოდაო. ამ გარემოებამ ბევრი მუშას მიატოვებია თავის საკუთარი სამუშევარი სწორედ იმ დროს როდესაც თავის ოჯახის წახდენ გაკეთების დრო იყო.

მოსავალს ჯერ გვარიანი პირი უჩანს და თუ გვიხსნა მომავალ შიმშილობისაგან იმან.

მოხალისე.

---

### წერილი ქუთაისის საგუბერნიო ციხიდან.

თითოულმა კომუნისტმა, არა კომუნისტმა და საერთოდ მთელმა მასსამ კარგათ იცის, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის დადებულ ხელშეკრულების თანახმად კომუნისტები, რომლებიც დატყვევებული და დევნილი იყვენ 1918 წ. წლიდან და მოთავსებული საქართველოს „დემოკრატიულ“ რესპუბლიკის ციხეებში და დატანჯულნი, ერთბაშათ განთავისუფლდენ, რაც თითოულმა ლეჩხუმელმა ამხანაგმა გაზეთის საშვალებით გავიგეთ. მაგრამ მიუხედავათ ყველა ამისა, ჩვენ მიჩვეული მთავრობისაგან დევნას, მაინც ვერ გავბედეთ გამოსვლა აქტიურათ ხალხში ჩვენი იდეების და სურვილების გასავრცელებლათ, ვინაიდან დარწმუნებული ვიყავით იმაში, რომ ლეჩხუმის ადმინისტრაცია და ერობის გამგეობა ანგარიშს არ გაუწევდა ზემო აღნიშნულ ხელშეკრულებას, რომელიც საქართველომ და რუსეთმა დასდევს ერთმანეთ შორის, და, რომელმაც მიანიჭა და მისცა საქართველოს კომუნისტურ პარტიას სრული ლეგალიზაცია ე. ი. მთავრობისაგან ნება დართულათ მუშაობა ლეგალურ ფარგლებში.

მაგრამ არ გასულა არც ერთი დღე ხელშეკრულების დადების შემდეგ და კომუნისტური პარტიისაგან გამოგზავნილი წარმომადგენელი ს. ქაჯაია ლეჩხუმს ესტუმრა, რამაც აღტაცებაში მოიყვანა ყველა ამხანაგები და მთელი მასსა. 3 დღის შემდეგ 13 ივნისს ს. ქაჯაიას ჩვენი მინდობილობით უნდა მოეთხოვა ადგილობრივ ადმინისტრაციისთვის, რომ მათ მოეცათ სახლი რომელშიდაც მოთავსდებოდა ლეჩხუმის სამაზრო კომიტეტი და ბიურო. მაგრამ სანამ ამას მოითხოვდა, მანამდის უკვე ადგილობრივმა ადმინისტრაციამ შუადღის 12 საათიდან დაუწყო ჭერა ჩვენს ამხანაგებს. რასაკვირველია პირველათ ს. ქაჯაია მიაბძანეს სამაზრო საპყრობილეში და მას ჩვენც 10 კაცი ზედ იმ საათშივე მივაყოლეს. 4 დღის შემდეგ, როდესაც ს. ქაჯაია ბორკილებით დაჭედილი ქუთაისის საგუბერნიო ციხეში გამომგზავრეს, ჩვენ ადგილობრივ ადმინისტრაციას მოვსთხოვეთ ბრალდების წამოყენება, მაგრამ რას წამოგვიყენებდა იმის მეტს, რომ ჩვენ კომუნისტები ვიყავით. მაგრამ მაინც არავითარი ბრალდება არ წამოუყენებიათ. მხოლოთ თვრამეტი დღის შემდეგ დილიდან დაპატიმრებისა ჩვენ, რიცხვით 10 კაცი, ცაგერიდან ქუთაისში გადმოგვიყვანეს. ოთხი თვე სრულდება რაც, რომ ლეჩხუმელი ამხ. საქმე გამოურკვეველად იყო მიუხედავათ იმისა, რომ ყველა მაზრის აქ მყოფი ამხანაგების საქმე ნაწილობრივ მაინც გაირჩა ხუთი დღის სიმშილობის შემდეგ. მაგრამ ჩვენ კი, ლეჩხუმლები, რიცხვით ათი კაცი, იმედ დაკარგულნი ვიტანჯებოდით სრულებით უდანაშაულოთ. 1 ოქტომბერს, როდესაც მთავრობის წარმომადგენელს, გეგელაშვილს შევეკითხეთ ჩვენს შესახებ, მან ისიც კი სთქვა, რომ თქვენ გადაწყვეტილი გაქვთ წელიწადი, როგორც არა კომუნისტებსო. მაგრამ ასეთ ხრიკებს დიდი ხანია მიხვდარი ვართ. ამის დასამტკიცებელი საბუთი, რომ ჩვენ კომუნისტები ვართ, ბევრია, მაგრამ უმთავრესი ფაქტი და საბუთიც ის არის, რომ ჩვენ ბილეთებში, რომელიც ქუთაისის საგ. ციხის ადმინისტრაციამ მოგვცა ბრალდებათ იყო წამოყენებული ბოლშევიკობა. ეს მშვენიერი საბუთია იმის, რომ ჩვენ დაჭერილი ვართ, როგორც კომუნისტები.

ყველა ზემოაღნიშნული საბუთების მიხედვით ჩვენ რომლებიც განთავისუფლებას მოველოდით, გადასახლებით შესცვალეს. 10 კაცში 5 კაცის საქმე გამოურკვეველია, რომლებიც არის აგრეთვე შესაძლებელი გადაასახლონ. ორი გაანთავისუფლეს, მხოლოთ ჩვენ სამი კაცი გადასახლებული ვართ საზღვარ გარეთ მარტო კომუნისტობისათვის და მთავრობამ ვერავითარი მეტი ბრალდება ვერ წამოგვიყენა. ამისათვის ასე უდანაშაულო დაჭერისთვის და გადასახლებისთვის უცხადებთ ადგილობრივ ადმინისტრაციას ზიზღს, რადგან ადმინისტრაციამ ერობისა და მათი სოფლის აგენტების შეთანხმებით, რომლებმაც შეთხზეს ეს, ბრალდების საშვალებით შინაგან სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღძრეს და ჩვენ სამი კაცი ჯერჯერობით მოგვწყვიტეს და მოგვაშორეს ჩვენს სამშობლოს ღრუბლებს გადასახლების სახით.

დ. ლეთოდიანი

---

## პროვინციის ცხოვრება.

#### ბ. თოფურიძის თვითნებობა (ქ. ქუთაისში).

15 ენკენისთვეს, დღის 5 საათზე, ქუთაისის ქალაქის თავი ბ. თოფურიძე (დამფ. კრებ. წევრია) მოდიოდა ეტლით მიხაილოვის ქუჩაზე, სადაც ქუთაისის ფ. ტ. კანტორის მექანიკი ჯაფარიძე თავისი მუშებით აწარმოებდა მუშაობას და კიდებდა ბოძებზე ცაგერისაკენ გასაყვან საქალაქთა-შორისო ტელეფონის მავთულს. მავთული არ იყო აწეული მიწიდან იმდენზე, რომ ეტლს თავისუფლათ გამოევლო, ვინაიდან 10—15 წუთის განმავლობაში ტეხნიკურად ყოვლად მოუხერხებელია მავთულის გაჭიმვა და ბოძზე ატანა, რისთვისაც მექანიკოს ჯაფარიძის მიერ იყო დარაჯათ დანიშნული მუშა, რომელიც აფრთხილებდა მგზავრებს, რომ მავთულს არ გამოდებოდენ, მაგრამ მეეტლემ მუშის ძახილი და გაფრთხილება ვერ შეამჩნია, ან თუ შეამჩნია, იფიქრა (ვინ გაბედავს იმ ეტლის შეჩერებას რომელშიც ქალაქის თავი ზისო), და ეტლი არ შეაჩერა, მინამ მავთული მეეტლეს არ მოედო. მაშინ ბ. თოფურიძემ გაცხარებული ძებნა დაუწყო მექანიკს ჯაფარიძეს, მოძებნა ის და უბრძანა იმ მავთულის გადაჭრა, რაც რასაკვირველია არ შეასრულა ჯაფარიძემ და არც უნდა შეესრულებინა, ვინაიდან ... ყვანის მუშაობის მწარმოებელი და მისთვის დანიშნული ტეხნიკები, გაფრთხილებული არიან და სცდილობენ, რაც შეიძლება ხშირად არ იყოს მავთული გადაბმული, რაც აადვილებს ელექტრონის ნაკადის კარგად გასვლას და ხარჯებსაც ამცირებს. მაგრამ, როგორც სჩანს ბ. თოფურიძეს, უკაცრავათ და არ ვიქნები, ან ნაკლებად, და შეიძლება, სულაც არ ესმის ტეხნიკა და ელექტრიკა ან ესმის, მაგრამ ის თავისი პირადი სიამოვნებისათვის არ ერიდება მუშის წვალებას.

ეს თუ გინდ არაფერი, მან შეურაცყოფა მიაყენა მექანიკ ჯაფარიძეს. მის მიერ სამსახურის შესრულების დროს, მიმართა შემდეგი სიტყვებით: „Вонъ, сволочь дуракъ, арестовать его“, არ მისცა საშვალება თავის გამართლების, მიატოვებია სამუშაო უპატრონოთ, უხელმძღვანელოდ, მუშების ამარა და გააგზავნა ქალაქის მილიციის უფროსთან.

მკითხველმა თვითონ დააფასოს ბ. თოფურიძის ასეთ უმგვანო მოქმედება.

მას გონებია, რომ ის მავთული მას რომ მოსდებოდა, მოკლავდა, ვინაიდან მასში „ჩანჩქერიაო“ (ე. ი. ნაკადის თქმა სდომია მაგრამ ველარ სთქვა და ჩანჩქერი უწოდა). მე კი თუმცა მაშინვე აუხსენი, რომ ის ისეთი მავთული არ არის რომ კაცი მოკლას-თქო მაგრამ ჯერ ახსნა არ მაცალა და მერე მითხრა „знать ничего не хочу“-ო, მაგრამ კიდევ გავახსენებ, რომ შემდეგში არ განმეორდეს ასეთი მოქმედება მის მიერ რომ ის არის ტელეფონის მავთული, რომელიც ჯერ კიდევ არ არის მუშაობაში გაშვებული და მისგან არავითარი ზიანი ხელის და თუ გინდ თავის შეხებით არ შეიძლება მიიღოს კაცმა. მუშების ჭერას და მათ ლანძღვა-გინების მაგივრათ კი, რაც არ ეკადრება ქალაქის თავს, უკეთესი იქნება იზრუნოს ქალაქის სისუფთავეზე და მის განათებაზე რომ ღამე მცხოვრებლები არ წამოედონ და თავპირი არ დაიმტვრიონ იმ ბოძებზე რომლებზე გაბმული მავთულისაც მას ეშინია.

მუშა ტერეზიშვილი.

---

## ჩვენი ფოსტა

**ბუზარიუსს:** არ დაიბეჭდება. გამოგზავნეთ სხვა.

**მოხალისეს:** იბეჭდება, გამოგზავნეთ ხშირ-ხშირათ.

---

დრ. რედაქტორი: ა. ქურიძე.

---

## განცხადებანი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3, მეორე სართული, ტელ. 9—81.

ცენტრ. კომ. ბიურო ღიაა დილის 11—1 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბილისის საგუბერნიო კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქუჩ. № 3, მეორე სართული. ტელ. 8—91.

ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. პირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩ., № 135.

ბიურო ღიაა საღ. 5—7 ნახ. საათამდე.

ს. კ. პ. თბ. მეორე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

ბიურო ღიაა დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. მესამე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია.

ბიურო ღიაა დილის 10—1 ნახ. საათამდე და საღამოს 5—7 ნახ. საათ.

ს. კ. პ. თბილისის მეოთხე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ), სადაც სწარმოებს ახალი წევრების ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია.

ბიურო ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე.

სტამბა „ეკონომია“ დიდი_ვანქის ქ. № 3.